საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამბალა



შავი ზღვის კამბალა

კამბალა, (Scophthalmus maeoticus, Pallas, 1814); ზღვის მარილიანი წყლის ბინადარი მტაცებელი თევზი. მაქსიმალური სიგრძე – 70 სმ, მასა – 9 კგ (იშვიათად 12 კგ). სქესობრივად მწიფდება 6–11 წლის ასაკიდან. მრავლდება მარტ-ივლისში. ქვირითს ყრის პერიოდულად (2–3-ჯერ). უმეტესად იკვებება თევზებით, კიბოსნაირებითა და - მოლუსკებით. გავრცელებულია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. იშვიათია აზოვის ზღვაში.

სამეურნ. მნიშვნელობის თევზია. დღეისათვის მარაგი ძლიერ შემცირებულია. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ არ არის შეფასებული (NE).

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ ი ბ., ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Б о г у ц к а я Н., Н а с е к а А., Каталог безчелюстных и рыб, М., 2004; С в е т о в е д о в А., Рыбы Черного моря, М., 1964.

ნ. ნინუა